ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი ნონას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ანგარიში

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის თანახმად, ანგარიშში წარმოგიდგენთ 2023 წლის 8 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსულ ყველა იმ განცხადების შესახებ ინფორმაციას, რომელიც მოიპოვება ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბ ნონაში (შემდგომში საჭადრაკო კლუბი).

ინფორმაცია საჭადრაკო კლუბში შემოსული საჯარო ინფორმაციის გაცემისა და მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ

2023 წლის 8 დეკემბრის მდგომარეობით, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით საჭადრაკო კლუბში სულ 2 (ორი) განცხადება შემოვიდა.

ორივე განცხადება სრულად დაკმაყოფილდა;

საანგარიშო პერიოდში მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის შესწორების შეტანის თაობაზე საჭადრაკო კლუბში არ შემოსულა.

საჭადრაკო კლუბში საჯარო ინფორმაციის გაცემასა და უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიმღებ პირს წარმოადგენს საჭადრაკო კლუბის დირექტორი გიორგი ჭანტურია.

საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჭადრაკო კლუბის მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ

საჭადრაკო კლუბში ფუნქციონირებს საქმისწარმოება, (ელექტრონული) სადაც თავს იყრის ყველა სახის კორესპოდენცია, მათ შორის საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსული განცხადებებიც. საჭადრაკო კლუბს არ გააჩნია ცალკე საჯარო მონაცემთა ბაზა.

რაც შეეხება პერსონალურ მონაცემებს, საჭადრაკო კლუბის მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვება, დამუშავება, შენახვა და სხვისთვის გადაცემა ხორციელდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით გასაზღვრული წესების შესაბამისად.

საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხისმგებელი პირებისათვის დისციპლინური სახდელის დადების შესახებ

საანგარიშო პერიოდში საჭადრაკო კლუბში თანამშრომელთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევას ადგილი არ ჰქონია და შესაბამისად, დისციპლინური სახდელების დადების შემთხვევა არ ყოფილა.

საკანონმდებლო აქტები, რომლებსაც საჭადრაკო კლუბი ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების თაობაზე

საჭადრაკო კლუბს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი 2023 წელს არ უთქვამს შესაბამისად ადმინისტრაციული საჩივარი არ შემოსულა.

საჯარო ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებული ხარჯები

2023 წლის 8 დეკემბრის მდგომარეობით საჭადრაკო კლუბს საჯარო ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემის ხარჯები მოსაკრებლის სახით არ გაუწევია.

დირექტორი: გიორგი ჭანტურია